# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 220

„15" ივნისი 2021 წ

ქ. თბილისი

**ქ. თბილისში, ი. აბაშიძის ქ. №76-84-ის მიმდებარედ არსებული 708 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთიდან (ს/კ. №01.14.11.025.016) 17 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით თეიმურაზ გოცაძისთვის (პ/ნ. 01008010821) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის -,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, ი. აბაშიძის ქ. №76-84-ის მიმდებარედ არსებული 708 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთიდან (ს/კ. №01.14.11.025.016) 17 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით თეიმურაზ გოცაძისთვის (პ/ნ. 01008010821) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 9 ივნისის №21.758.859 განკარგულებით გათვალისწინებული, უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ი. აბაშიძის ქ. №76-84-ის მიმდებარედ არსებული 708 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთიდან (ს/კ. №01.14.11.025.016) 17 კვ.მ. მიწის ნაკვეთის თეიმურაზ გოცაძისთვის (პ/ნ. 01008010821) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 3100 (სამი ათას ასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე